



## სახელმძღვანელო ავტორთათვის

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე წარმოადგენს ქართულენოვან რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალს, სადაც ასევე ქვეყნდება ინგლისურენოვანი სტატიები. ჟურნალში წარმოდგენილი სტატია უნდა აკმაყოფილებდეს ქვემოთ მოცემულ რომელიმე კატეგორიას:

**კვლევა** რეკომენდებული სიტყვათა რაოდენობა - 5000, ილუსტრაცია -10

სტატია უნდა წარმოადგენდეს უახლეს კვლევას, რომელიც პირველად ქვეყნდება საქართველოში. სტატია თემატურად უნდა შეეხებოდეს ყველა იმ სამეცნიერო დარგის მიმართულებას, რომელსაც საქართველოს ეროვნული მუზეუმი მოიცავს. მაგალითად: ეთნოგრაფია/ეთნოლოგია, ხელოვნების ისტორია, არქეოლოგია, პალეობიოლოგია, რესტავრაცია-კონსერვაცია, მუზეოლოგია და ა.შ.

**დისკუსია პრობლემურ საკითხებზე** რეკომენდებული სიტყვათა რაოდენობა -3000, ილუსტრაცია -6

სტატიის მიზანია სამეცნიერო დისკუსიების სტიმულირება. იგი უნდა იყოს მნიშვნელოვანი სამეცნიერო თემის ირგვლივ, რომელიც სამეცნიერო წრეებში დისკუსიის საგანს წარმოადგენს.

**საველე ანგარიში** რეკომენდებული სიტყვათა რაოდენობა -1500, ილუსტრაცია -6

სტატია უნდა წარმოადგენდეს საველე სამუშაოების შედეგებს, რომელიც გასულ ან მიმდინარე წელს არის ჩატარებული.

**რეცენზია** რეკომენდირებული სიტყვათა რაოდენობა -1200

რეცენზია მოიცავს საქართველოს ეროვნული მუზეუმის გამოფენების და სამეცნიერო წიგნების მიმოხილვას.

სტატიის ყველა კატეგორიას უნდა ჰქონდეს 100-150 სიტყვიანი აბსტრაქტი ქართულ და ინგლისურ ენებზე.

### რეფერირების პროცესი

მოამბეში ხდება მხოლოდ ორი კატეგორიის სტატიის რეფერირება. ესენია - „კვლევა“ და „დისკუსია პრობლემურ საკითხებზე.“ აღნიშნული კატეგორიის სტატიები გადის შერჩევის ორ ეტაპს: პირველ ეტაპზე სარედაქციო კოლეგია ზოგადად აფასებს თუ რამდენად შეესაბამება სტატია ჟურნალის სტანდარტებს. მეორე ეტაპზე სტატია ეგზავნება უშუალო დარგის ანონიმურ შემფასებელს, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას მისი გამოქვეყნების თაობაზე. სტატიის ავტორ(ებ)ი შემფასებლისთვისაც ანონიმურია. სტატიის შემოწმებისას შემფასებელი ხელმძღვანელობს ჟურნალის რედაქციის მიერ შედგენილი სპეციალური კითხვარით.

„საველე ანგარიში“ და „რეცენზია“ არ ექვემდებარება რეფერირებას და მხოლოდ სარედაქციო კოლეგიის თანხმობის საფუძველზე მიიღება.

### სტატიის გაგზვნის წესები

- ავტორებს სტატია შეუძლიათ წარმოადგინონ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე - [Moambe@museum.ge](mailto:Moambe@museum.ge)



- სტატია მოწოდებულ უნდა იქნას DOC ფორმატში შემდეგი სახით:
  - o ცალკე ფაილი, სადაც მოცემული იქნება სტატიის სათაური, ავტორ(ებ)ის სახელი, გვარი, სტატუსი, საკონტაქტო მონაცემები.
  - o ფაილი სადაც ერთად იქნება წამოდგენილი:
    - აბსტრაქტი
    - ძირითადი ტექსტი
    - ლიტერატურა
    - ილუსტრაციების აღწერილობა
    - არ მოათავსოთ ილუსტრაციები DOC ფაილში
- ილუსტრაციები გამოგზავნილ უნდა იქნას ცალკე JPG ან TIF ფორმაში. მათი რეზოლუცია უნდა შეადგენდეს არა ნაკლებ 300 dpi. ილუსტრაციების ზომა შეიძლება იყოს როგორც ნახევარი - (სიგანე 65 მმ) , ასევე მთლიანი ფურცლის ზომა ( სიგანე 135 მმ.). სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 185 მმ.
- ტექსტში ილუსტრაციის ნომერი მიუთითეთ ფრჩხილებში გამუქებული შრიფტით. მაგალითად - (სურ.1)
- ტექსტში გამოყენებულ უნდა იქნას ქართული შრიფტი - SYLFAEN, ზომა 12. ინგლისური ტექსტისთვის Times New Roman, ზომა 12, გვერდის ზომა A4.
- ტექსტი უნდა დაფორმატდეს შემდეგ ნაირად:
  - o სტრიქონებს შორის მანძილი - 1;
  - o აზვანის პირველი სტრიქონის დაშორება - 1სმ;
  - o დაშორება ფურცლის ყველა კიდიდან - 2სმ
  - o თავსართი – 1სმ
  - o ბოლოსართი– 1,3სმ

### ციტირება

ციტირებისთვის ჟურნალი იყენებს შიდატექსტურ დამოწმებას. იგი გულისხმობს ტექსტში ციტირების ადგილზე ფრჩხილებში ავტორის გვარის, ნაშრომის გამოშვების წელის და გვერდის ნომრის მითითებას. ციტირებისთვის არ გამოიყენება სქოლიო. ლიტერატურის სიაში ნაშრომები დალაგდება ანბანური თანამიმდევრობით. ჯერ ქართული, შემდეგ უცხოური გამოცემები.

ციტირების ნიმუში:

სტატია

ჯაფარიძე, ო. 1991

„კოლხური ცული“, ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. 16B:5-10

(სტატიის სათაური ჩაისმის ბრჭყალებში, ხოლო ჟურნალის სათაური კურსივირებულია)

სტატია კრებულში

ნიკოლაიშვილი, ვ. 2021

„დედაქალაქობისდროინდელი დიდი მცხეთა.“ (რედ. გ. ნარიმანიშვილი) კავკასიის არქეოლოგიის პრობლემები. თბილისი: „თრიალეთი.“ გვ.228-235.

(სტატიის სათაური ჩაისმის ბრჭყალებში, ხოლო კრებულის სათაური კურსივირებულია)

მონოგრაფია

ჯაფარიძე, ო. 2003

საქართველოს ისტორიის სათავეებთან. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა



(წიგნის სათაური კურსივირებულია)

თუ ავტორს ერთსა და იმავე წელს გამოცემული აქვს ორი ან მეტი სტატია, ავტორის ნაშრომის გამოცემის წელის შემდეგ მიეთითება შესაბამისად A, B და ა.შ.

ლიტერატურის მიტიტებისას არ გამოიყენოთ აბრევიატურა. მიუთითეთ ჟურნალის სრული დასახელება. მაგალითად - საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე და არა სსმ.

#### **რიცხვები და თარიღები**

- საუკუნეები აღნიშნეთ რომაული რიცხვებით. მაგალითად - V საუკუნე და არა მე-5 საუკუნე.
- რიცხვები არ დაწეროთ სიტყვებით. აღნიშნეთ მხოლოდ ციფრებით. მაგალითად - 10 და არა ათი.
- ოთხციფრა რიცხვებში არ გამოიყენოთ მძიმე ან ინტერვალი. მაგალითად -1000. მძიმე იხმარეთ ხუთ ან მეტ ციფრა რიცხვებში. მაგალითად - 10,000 ან 500,000

#### **აბრევიატურა**

- წელთაღრიცხვის აღსანიშნავად იხმარეთ ძვ.წ. და ახ.წ.
- აბრევიატურა როგორცაა ა.შ. ან სხვ. არ არის რეკომენდებული გამოყენებულ იქნას სტატიის ტექსტში. მსგავსი აბრევიატურა გამოიყენეთ ტაბულების აღწერილობაში ან ბიბლიოგრაფიაში.

#### **რადიოკარბონული თარიღი**

არაკალიბრირებული თარიღის შემთხვევაში გამოიყენეთ ლათინური ასოები BP ან მიუთითეთ არაკალიბრირებული.